


„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-
რაფოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე
ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე
მცხოვრებთათვის ადრესი: ТИФЛИСЬ, РЕД. „ДРОЗДА“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50კ., 4 თვ.—4 მ., 3
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერა „დროებისა“ ღირს 5 კანკიკი.



ბამოლის ყოველ-ღე მრუბათს ბარდა.

ფასი განცხადებისა: მოთხოვ გვერდზე სპირიტონზე
8 კ., პირველზე 16 კ. სრული უგანსაგებელი გვერ-
დი 25 მანათი; პირველი 50 კ. რედაქციის სტრუქტურ-
ებისა ითვლება მათგან დაქვეყნებისას კარგად
ლობაზედ.

თუ საქართვება მოათხოვს, რედაქცია გაასწავლებს და შეამოკ-
ლებს დასაბუჯად გამოცხადებულ წერილებს. დაუბუჯდელ წერი-
ლებს რედაქცია კარ დაუბრუნებს ავტორს.

Объявения изъ Россіи, Царства Польскаго и за-
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.
Г. Метцль, Москва, Петровка, № 6.

ამ ნომერში რაა გვერდია.

ქისაც დღეებზე გახეთის ხედე-
რი ფული ან შეძოუტანია, რე-
დაქცია უძორნიდესადა სთხოვს
სახქაროდ შეძოიტანონ, თუ არა
ჭსურთ, რომ გახეთის გაგსაყნა
მოქსნათ.

ადრესის გამოცვლისათვის რე-
დაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ
შვიდი შაურნი წარმოადგინონ
ხოლდე.

შინაური ქიონიკა

== შალავას მაგივრად, რომელ-
მაც ქუთაისის ბანკის დირექტორობა-
ზე უარი სთქვა, ი. ჯაიანი ამოურ-
ჩევიათ.

== მესტათი მკვდილის მკვლელო-
ბის ეჭვი მიუტანიათ ორს მმა ძელობა-
ქიანზედ. მრთი ამ ძელობაქიანთაგანი
იმერეთის ეპარქიის კანცელიარიაში

მსახურებდა თურმე და მკვდილიძეს
დაეთხოვნა. მამა ამ ძელობაქიანებისა
მღვლელია და აგრეთვე რალაც ავაზა-
კობისათვის პასუხის-გებაშია მიცემუ-
ლი.

== ჩვენ მოგვივიდა მოსკოვიდან
ქართველ სტუდენტებისაგან შემდე-
გი ტელეგრამა:

„ღრმად შეგვიძარწუნა დაუფიყა-
რის მესტათი მკვდილის საზარელ-
მა მკვლელობამ. ბულითა ვწუ-
ხვართ, რომ საზოგადოებას უდროოდ
მოაკლდა პატიოსანი მოღვაწე. საუ-
კუნოდ იყოს ხსენება შენი ძვირფასო
მეგობარო!“

== ახირებული ამბები მოგვდის
ხოლმე ხანდისხან შინაური ქრონიკი-
სათვის; ისე ახირებული, რომ სიბრძ-
ნე სიცრუის ზღაპრებისათვის თუ გა-
მოდგებიან, თორემ ნამდვილს სრუ-
ლიად არა ჰგვანან, თუმცა კორეს-
პონდენტები გვარწმუნებენ მათს სი-
ნამდვილეს. აი, მაგალითი: იმერეთ-
ში ჩიბათის საზოგადოების მ—ლს
მიუცია ერთ ჯორში თავის დ—კენისა-
თვის რაც წლის განმავლობაში მკვდრე-

ბი ეყოლებოდა, ესე იგი მკვდრები კი
არა, მათგან მოსალოდნელი შემოსა-
ვალი დაუთმია. როგორც იწერებიან,
ამ უცნაურს სულების ეაქარს ხალხი
ასჯანყებია და მეტად ჯავრობენ თურ-
მე, რომ ცოცხალი სულები ერთ
ჯორში გაგვიყიდაო.

== ახალციხეში არსებობს სასწავ-
ლებელი ქართველ კათოლიკებისა,
რომელთან დამოკიდებულება თვალ-
საჩინოდ გვიჩვენებს, თუ როგორ ეს
მის ახალციხის საზოგადოებას ნაწილს
მნიშვნელობა განათლებისა. ამას წი-
ნად მასწავლებელს დაურიგებია მოს-
წავლეებისათვის წიგნები და სასწავ-
ლო ნივთები და მოუთხოვია მათ-
თვის, რომ ვისაც შეძლება გაქვთ,
თითო ორ-ორი შაურობით მაინც
მოიტანეთო. შმაწილებს უთქვამთ
ეს თავიანთ მშობლებისათვის და ამ
ამბავს ისე აუღელვებია უკანასკნელ-
ნი, რომ ბავშვები დაურიგებიათ,—
„წადით, უკანვე მიუყარეთ ეგ წიგნე-
ბი, ჩვენთვის საჭირო არ არისო“. მრ-
თი ამ „მშობელთაგანი“ წასულა სკო-
ლაში, შეკრილა კლასში და ლაპა-

რაკი გაუმართავს მასწავლებლისა-
თვის.

შემმართად კარგის ზნეობის მაგა-
ლითის მიმცემნი ყოფილან ახალცი-
ხელი მშობლები!

== „მწყემის“ მე 10 №-ში და-
ბეკილილი დაწვრილებითი ცნობანი
შესახებ მესტათი მკვდილის მკვლე-
ლობაზე. მკვდილიძეს ბინა ჰქონდაო
(ქალაქს ქუთაისში,) ფრანგების ეკლე-
სიის სიახლოვეს. მისის 8-ს მკვდილი-
ძე გამგზავრებულა კანცელიარისაკენ,
საცა იგი მსახურებდა; როდესაც ახალ-
ხილზედ მისულა, იქ დასწევია ძაცხის
მონასტრის წინამძღვარს იგუმენს ნი-
კიფორეს; ამ იგუმენს თან ჰხლებია
ერთი ბერი და ერთი ღიაჩოქი და ყვე-
ლანი ერთად წასულან კანცელიარი-
საკენ. როდესაც მიახლოვებიან ეპარ-
ქიის კანცელიარისა სამოც საყენზე
უწინდან მიმავალი ცხენოსანი მიახ-
ლოვებია მკვდილიძეს, რეგოლვერი
დაუმიზნებია პირ-დაპირ ბეჭებში და
კიდევ დაუცია. შსროლია თუ არა,
ცხენოსანს მაშინვე გაუტყენებია ცხენი
აგურის ქარხნებისაკენ და დღესაც
არავენ იცის, საით გამქარალა. სისხლ-

* *

მუხავ, მიყვარხარ, ტიალო,
ბამარტოებით მღვამარე,—
მრთი შენ გპოვე გულისა,
ძვეყანა შემოვიარე.
ღაღონებული, მტირალი
მიწყვიდ შენკე ვარ მორაგი!

მე მიყვარს შენი სიბერე,
მუღმივი დაღწევილობა;
ღანავსებული ტოტები,
სიმტკიცე, ფოთოლთ-შლილობა ..
შენ არ გაწინებს, ვაქაცო,
ბუნების ფერის-ცელილობა!

რაც უნდა ქარი შხუოდეს,
და ელევა იკლანებოდეს,—
მთა-ბარი ირეგებოდეს,
ხილ-ხული იხრამებოდეს,
ლერწამი მიწას ეკრვოდეს,
მშველი ტყეს ინაბებოდეს;
ზარ დაცემული მხეცი რამ

პწკალზედ კლდის ენში ღმუოდეს,
ამაყად ელი ავდარსა,
ძარს არ უყადრებ თავსაო;
მღვა და ქენა-ქუნილი
მერ შეგინიან წარბსაო!
პრ ივლებ ბაი-ბუადა
ხალხის უღმერთოდ ქრასაო!

საფლავიმც აუყვავდება,
მინაც გვაუწყა მცნებაო:
„ძაცი იშობვის ერთ დღესა
და ისევე ერთ დღეს კვდებაო“.
ძარგი ჭაბუკი სიკვდილსა
პროს არ შეუღრკვებაო!

1884 წ. პაჩანა.

თამბარ დედოფლის სსოყნა

თავისუფალ სვანეთში

ივლისის 13-ს 1875 წ., რა წელსაც
თავისუფალ სვანეთში ხალხის აღელ-
ვება მოხდა, სვანეთს მიმავალი მაშინ-
დელი ქუთ. გუბერნატორი ბ-ნი მა-
ლაფევი ჯარით ს. საგერს იდგა ბა-
ნაკად. ბუბერნატორის განკარგულე-
ბით 10 სვანი დეპუტატების მინაგვა-
რად გამოცხადდენ მასთან მოსალა-
პა-აკებლად ხალხის მაგიერ...


ამის გვარ შემთხვევაში, როგორც
იყო 1875 წელი მ.—სვანეთში და სხვა
ღროსაც, როცა სვანები ძველს ღრო-
ზე ლაპარაკს ჩამუადდებენ, მამარ დე-
დოფალზე მსჯელობა ერთად ერთ სა-
ყვარელს და საინტერესო თემას წარ-
მოადგენს. ქველა გადმოცემათა ჩა-
მოთვლა მამარ დედოფალზე, რე-
მელნიც სვანეთში დარჩენილან, სა-
გავნეთო წერილში არ მოთავსდება და
ამისათვის ჩვენ აქ დავასახელებთ მხო-
ლოდ ზოგიერთებს.

სვანების გადმოცემით სვანეთი მამარ
დედოფლის საყვარელი სამყოფი
ადგილი ყოფილა, თუმცა ჯერ-ჯერო-

ბით წერილობითი საბუთი არ აღმო-
ჩენილა, რომელიც უჩვენებდეს მამარ
დედოფლის ყოფას სვანეთში.
როგორც ყოველს ხალხში, და ქვე-
ყანაში, სადაც რომელიმე ისტორი-
ულს პირს თავის მოღვაწეობით დაუ-
მსახურებია საუკუნო დაუფიწყრობა,
აწერენ მას (პირს) გავზიადებით არა
თუ იმ ღვაწლს, რაც უცილოდ მოუ-
ქმენდია, არამედ სხვა რამესაც ბევრს,
ისრე სვანებსაც უნდათ დამტკიცონ,
რომ რაც კარგი რამ ყოფილა მათს
წარსულს ცხოვრებაში—ყოფილა მამარ
დედოფლის მეოხებით. ის ღრო,
რომელსაც სვანები „თამარობ“ (თამა-
რობა) ეძახიან ხალხის სიტყვით ყო-
ფილა ყოველის მხრით შესანიშნავი:
ეკონომიური კეთილ-დღეობა სვანე-
თისა აღყვავებული იყო, „ჩერობა“
(ღვინის მოტანა) გახშირებული და
ამისათვის არაყის მაგიერ ღვინო იყო
ხმარებაში; ზნეობა ძლიერ მაღლა
მდგარა, ყველას უყვარდა ერთმანეთი
და არავითარი ბოროტ-მოქმედება არა
ხდებოდა და სხვა-და სხვა. შესანიშ-
ნავნი ეკლესიანი მამარ.—სვანეთში: შშ-
გულის ღვთის მშობელის, ძალის წმ.
ქვირიკეს და ივლიტეს ეკლესია—მო-
ნასტერი, წმ. ბიორგი იუარისა და
მესტიისა, მთავარ-ანგელოზო მუქალი-
სა და წინასწარ. იოანას (მნაშ) ეკ-
ლესია ლატალი—ყველანი—ხალხის
სიტყვით—მამარ დედოფლისაგან არი-
ან აშენებულნი და შემკულნი ხატ-
ჯვრებით და სხვა სამკაულითა. ხალ-

ხის გადმოცემით მამარ დედოფალი
ამ რიგად აშენებდა ეკლესიებს: გამო-
უცხადებდა თავის ჯარს, რომ ამა-და-
ამ საზოგადოებაში ეკლესია უნდა ავა-
შენოო; თვითოეული ჯარის კაცთა-
განი ვალდებული იყო წამოედო აღ-
ნიშნულს ადგილას თვითო ქვა, თვი-
თო ქილა (მესერი) დამწვარი კირი
და თვითო ქილაც ქვიშა; უკანასკლ-
თაგან ე. ი. კირ-ქვიშისაგან გააკეთებ-
დენ კირს; შემდეგ თვითოეული ჯა-
რის კაცთაგანი მიტანილ ქვას დაა-
დებდა ასაშენებელ ეკლესიის კედლებ-
ზე და ამნაირად ეკლესია აშენებული
იყო. შემოდ ნაჩვენები ეკლესიანი ამ
ნაირად აუშენებია მამარ დედოფალს,
ამბობს ხალხი.

ზადმოცემა მოგვითხრობს, რომ
უმეტესი ნაწილი თავის ცხოვრებისა
მამარ დედოფალს სვანეთში გაუტა-
რებია. შშგულლები (მამარ.—სვანეთის
თავში მდებარე საზოგადოება) დღე-
საც დაბეჯითებით უჩვენებენ თავიანთ
საზოგადოებაში მამარ დედოფლის
საზოფხულო და საზამთრო რეზიდენ-
ციას, რომელთაგან უკანასკნელი, ე.
ი. საზამთრო რეზიდენცია გაშენებუ-
ლია შუა საზოგადოებაში აღმართულ
გორაზე. ამ გორას სიგრძე-სიგანე
თავში 30 საყენი ექნება. ირველივე
შემოზღულდული ყოფილა (ახლა ზოგ-
გან დანგრეულია) ქვის გალავნით.
ბალავანში ჩატანებული ყოფილა ოთ-
ხი კოშკი (ერთს ამათგანს ზედა ტანი
მისტეხია) და ერთი პატარა—დღეს



ში გასერილი მკვლელები დეკანოზის ბიგაურის სახლში შეიყვანეს; მაშინვე ექიმებიც მოჰგვარეს, მაგრამ ვერაფერი საშუალება ვერ აღმოუჩინესო. ტყვია ბეჭებში მოჰხვედროდა, მკერდში გამოსულიყო და, როგორც ვთქვამოდა, ფილტვებიც გვეხვრიტა. პირველად მკვლელებს გრძობა ჰქონდა დაკარგული, მაგრამ ბოლოს ცოტა არ იყოს ისევ გრძობაში მოსულიყო და სულ რამდენიმე საათი-ღა ეცოცხლაო.

ძველად მკვლელებს გრძობა ჰქონდა დაკარგული, მაგრამ ბოლოს ცოტა არ იყოს ისევ გრძობაში მოსულიყო და სულ რამდენიმე საათი-ღა ეცოცხლაო.

გაუქმებული - ეკლესია. საზაფხულო რეზიდენციას-კი ნამდვილი სტრატეგიული და პოეტური ადგილი უჭირავს. იგი ვაშლებულია შშგულის სამხრეთით „ლენკვერის“ მთაზე, რომელსაც სიმაღლე ერთ ვერსზე მეტი ექნება. საზოგადოებას ეს მთა ისე დაჰყურებს, როგორც ცხვირი ტუჩებს და ყოველი უბრალო ბილიკიც, რომელიც სხვა სოფლებიდან შშგულში შემოდის, ცხადდა სჩანს, ასე, რომ დღისით შშგულში იღუმალ შემოსვლა შეუძლებელია, თუ კაცი ამ მთიდან დარაჯათა სდგას. საუცხოვო პოეტური სურათი წარმოუდგება კაცის თვალს ამ მთის წვერიდან: ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით სვანეთს შემოჰხვევია ძავესის მთა-გრებილი თავის უმაღლესის მწვერვლებით. ზედა ნაწილი მთა-გრებილისა დაფარულია სპეტაკის თაველით და ქვედა ნაწილში კაცი ხედავს უზარმაზარ საყინულეებს (ледники); დასავლეთით კაცი ხედავს ნაძვარის და ფიჭვნარის ტყეებით შემოკლულ ჩაშავებულს სვანეთის ხეობას, რომელშიც რაოდენიმე საზოგადოება თავის თეთრად შეფეთქილის კოშკებით კიდე უფრო ამშვენებენ ამ სურათს; სამხრეთით-კი ჰორაზონტი პატარაა, რადგანაც მთა „ლენკვერი“ მიკავშირებულია სვანეთის ქედზე, რომელიც პირველზე მაღალია (სვანეთის ქედი ჰყოფს მდგურის და სხვის წყლის ხეობას ერთი მეორისაგან.) შენობები იგივენი არიან ლენკვერზე, ე. ი. ქვის გაღვანი, ოთხი კოშკი გარდა ეკლესიისა,

და-სხვა ადგილებში იკვლევენ ვენახებს.

ზაზეთს „მწყემს“ სწერენ სოფ. დიმიდან, რომ იქ წაუკიდებიათ ცეცხლი სოფლის სკოლისათვის, რომელიც რის ვაი-ვაგლახით აუშენებიათ. ზარალი 300 მანათამდე იქნებოა.

წერილები რედაქტორთან

შემორჩილესად გთხოვთ ნება მოგვცეთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ჩვენი უგულითადესი მწუხარება განუცხადოთ ქირისუფლებს პატიოსანის მწერლისა და მოღვაწის კესტათი მკვლელების, რომელიც ასე უდროვოდ იმსხვერპლა მისგან დევნილი არამზადების ანგარებამ და მათმა მუხანათურმა შურის ძიებამ. ჩვენს მწუხარებას საზღვარი არა აქვს, რომ მესტათი მკვლელები, ღირსეული წევრი ჩვენის ახალგაზრდობისა, მოჰკლა ისეთმა დედაბრულმა ვერაგობამ, რომელმაც პირის-პირ მოლაღატობით დახვედრა კი ვერ გაბედა და მხოლოდ პირს რიდე მოხვეულმა, ზურგიდან მიპარვით დედაბრულად დასცა ბრმა, მომაკვდინებელი ტყვია... ჯერ ერთობ აღრე იყო მისი (დღეს ასე უწყალოდ მოვლენილი) სიკვდილი; ის ჩვენთვის ფრიად საჭირო იყო; ჯერ კიდევ ბევრს პატიოსანს და სა-

სა, რაც საზამთრო რეზიდენციაში ენახეთ. არხიტექტურაში სრულიად არ არის განსხვავება. შემოზღუდული მოედანი-კი ერთი-ორად დიდია, მანამ საზამთრო რეზიდენციისა. აქვე ახლოს გამოდის მშვენიერი დიდი წყარო. აქ ზაფხულობით სცხოვრობდაო, ამბობს ხალხი—თამარ დედოფალი.

ხალხის რწმუნებით თამარ დედოფალი შშგულის ლეთის-მშობლის ეკლესიის ტრაპეზშია დამარხული, რომლის გამჟღავნებას ძლიერ უფრთხილდებიან, რადგან—ფიქრობს ხალხი, თუ რომელიმე ხემწიფემ ეს გაიგო, მაშინ თამარ დედოფალს ამოიღებენ სამარადამ, სადაც პირველი განუხრწნელად ძვეს და მაშინ დაილუბება სვანეთიც, რადგან თამარს გაჰყვება სვანეთის ბედ-იბაღიო. ის ხემწიფე-კი, რომელიც თამარის სხეულს იშოვნის პირველი, ბედნიერი იქნება ქვეყანაზე. შშგულისავე ეკლესიაში ხალხი უჩვენებს თამარის ტანისამოსს. ხუთის წლის წინად ჩვენ ვნახეთ აქ ზანდუკში შენახული ერთი წყვილი ქალის ტანისამოსი, რომელთაგან უკედ შენახული იყვნენ ანაოზის პერანგი და წითელი ხავერდის ქაბიბი, დანარჩენი სულ დარჩილი იყო და დღეს აღბად ყველა ჩრდილის მსხვერპლი გახდებოდა. წმ. კვირიკეს და ივლიტეს ეკლესია—მონასტერში, ძალას საზოგადოებაში უჩვენებენ თამარის ნაწნავებს და ქაშებს.

თავისუფალს სვანეთში დარჩენილია ხალხური სიმღერა თამარ დედოფალზე. სიმღერა უფრო ნამდვილად შენახული აღმოჩნდა შშგულის

სარგებლო სიტყვას თუ საქმეს მოველოდით მისგან. მაგრამ რა კი უზენაესისა და უტნაური განგებულებით იგი გარდაიცვალა ამიერის ცხოვრებიდან,—ჩვენ გულ გაგმირულნი ამხანაგის მოკლებით, ვნუგეზობთ და ვანუგეზობთ მესტათის ქირისუფლებს მით, რომ იგი კწამა მატყვისა და მატყოსისისათვის და „სახამ იყო, კაცად იყო“...
სათლავი მისი იქნება ლამარად პატიოსნებისა მისს ამხანაგათვის...

ილია ქუჩია,
ისინი დ. ნაკაშიძე,
თ. ზაქარია ივანეს-ძე ნაკაშიძე
ანტონ დლონტი
ქ. ოზურგეთი.
მანის 14-ს 1885 წ.

ბ. რედაქტორო!
შემორჩილესად გთხოვთ ადგილი მისცეთ ამ ჩემს წერილს თქვენს გაზეთში. მე წავიკითხე თქვენს პატივცემულს გაზეთში მე № 86: „გორის მაზრის ს ტირანის მცხოვრებელს ტეტუნაშვილს, ამ თვის 12-სა გარდასცვლია ვაჟი შვილი, ხუთშაბათს დღეს გაუკეთებინებია კუბო ბორში და უნდოდა პარასკევს დამარხნა; მაგრამ რადგან მარხვა იყო პარასკევს შაბათისთვის გადადეს, და როდესაც გასვენებას აპირებდნენ გამოიღვიძა ბავშვმა!“ როცა წავიკითხე ეს სტრიქონები, ძალიან გამაკვირვა და ამის გულისათვის ვწერ ამ პასუხს სიმართლის აღსადგენად.

საზოგადოებაში. შერხულში იმდენიან ამას და ისეთი ახლართულ-ჩახლართული, რთული ფენის ხმარება უნდა, რომ მარტო უშგულელებმა იციან ეს ფერხული. მახლობელი სოფლები ძალას და იფარას საზოგადოებისა ცდილან ესწავლათ უშგულე-

რა ვინა?

რა ვქნასიო ვორმინდა ვაშაჰო, ირსაჰო, ვარშაჰო, ირსაჰო, ვარშაჰო, ირსაჰო!*)
თამარ დედოფალ ანისგვეჯდა, თხუმას ხანგანდა ზურჩია შდიმარს ხოწიბა ლუშდომი თურარ ხოშიდ იაგუნდომ შდიქარ ხოშიდ მარგალიტიშ ჰაბი დაგი ხანდან ვოკვრეშ ყიას ხაბუდა ჰეშმარე ქამერ ხაქუდა ახჯარი ისგან ხაქუდა ახლასი მებრარს ხანდანდა «ხეშნავრე»(?) ზოთხარდ ხანდანდა ჯაჭვარე ჩაფლარდ ხანდანდა ჩექმარე ჩაუს ხანგურდა ქეიშემფერი ჰუნგირ ხოგანდა ლუშადი ჰუნგირდ ხოთხავ ვოქვრე ასალ საბუვდ ხობუდ ვოქვრე კოპარ საგუვდ ხოგან ვოქვრე ბუშუარ ჰალდვირდ ხოსდან ვოქვრე რახტი.

*) პირველი სტრიქონი სიმღერისა სვანური არ არის, არამედ ქართული და ამისთვის მისი მნიშვნელობა, აზრი მკითხველმა გამოიცნოს. მაგალითისათვის მოყვანილს პირველს სტრიქონს აქვს 13 მარცვალი და ამას გარდა უკანასკნელი სიტყვა გამოორებულია კიდევ ორჯერ, როგორც მკითხველი დაინახავს: ამ გვარივე რიგი (13 მარცვალი და უკანასკნელი სიტყვის გამოორება) უნდა იქმნას დაცული თვითოველის სტრიქონის შესახებ ბოლომდე სიმღერის დროს ფერხულში. სიმარტივისთვის მე მომყავს სტრიქონში რვა-რვა მარცვალი, რადგან დანარჩენი ხუთი მარცვალის (8+5=13) მომატება და მოკლება სრულიად არა სცვლის სიმღერის შინაარსს. დასამატებელ მარცვლებად ყოველთვის ჩნდება: „იო, ჰო, იი, და ვო“. ამათი მნიშვნელობაა მხოლოდ ხმის გარგელება. მაგალითისათვის ავიღოთ მესამე სტრიქონი:
თხუმას-იო—ხანგანდა-ა—ვო—ხური—ჩია.
—ვო—ხური—ჩია.
—ვო—ხური—ჩია.

მე თითონ კარგად მესმის და კიდევ ვიცი მიცვალებულის დამარხვის დრო. მესამე დღემდის ქარხანებზე ჩემს მრევლს მიცვალებულის დამარხვის ნებას.

მართალი არის რომ ტეტუნაშვილის ვაჟი-შვილი ავად იყო სახლში და თითონ მამა ბორში იყო მზარეულად, როცა შეატყობინეს შვილის ავამყოფობა ტეტუნაშვილს მოვიდა სანახავად და გადმოიყვანა ფერშალი დაბასხნვალადამ. ფერშალმა უთხრა გაცივებული არის ბავშვი და ფილტვების ანთება აქვსო. ტეტუნაშვილი ისევ წავიდა ბორში და იმ ღამეს ბავშვი უფრო დასუსტებულიყო და კიდევ გაეგზავნათ კაცი მეორედ ტეტუნაშვილთან. ამას ჰკუთისათვის ძალა დეტანებინა და ეფიქრა აღარ მორჩებაო და მართლა წამოიღო კუბო, გზავდ შეეტყუა შვილის უკეთობა და წამოღებული კუბო სოფლის ძველ მიწვრილ ეკლესიაში შეეტანა. ამის შემდგომ, რალა თქმა უნდა, კუბო რომ სახლში არ შეუტანია, საიდგან ჩაასვენებდნენ და ან საიდგან ვაიღვიძებდა ბავშვი.

ტირანისის სამრევლოს მღვდელი სფირიდონ კასრაძე

ანბარიში

აპრილის 22 დღეს, ბათუმის სცენის მოყვარეთაგან გამართულის სპექტაკლისა „წერა-

ლებისაგან, მაგრამ ცდას ამოდ ჩაუყვლია: თუმცა გადუღიათ, მაგრამ დაუმახინჯებიათ: ზოგი ჩაუმატებიათ და ზოგი გამოუყვლიათ. მომყავს ეს სიმღერა სვანურის ტექსტით, რომელსაც ქართულად ვთარგმნი თავისუფლად და პროზით..

(სათაშრია)

თამარ დედოფალი მობრძანდა თავზე ზური ადგია ურუბზე ჰვიდია საყურენი თვალევი აქვს იაგუნდის კბილები აქვს მარგალიტის ფერი აქვს ოქროს მსგავსი (ელვარე) ყელსა აბია ეშევი (ეშვი, шима) გარედ აცვია ახჯარი შიგნით აცვია ახლასი მკლავებზე მოცმული აქვს „ხეშნავრი“ (?) პაიჭად აცვია ჯაჭვები (ланы) ფუნთა აცვია ჩექმები ქვიშის ფერ ცხენუდა ზის მოჭედილი (ოქროთი) უნაგირი ადგია უნაგირს მოფენილი აქვს ოქროს ასალი საბუეზე აკერია ოქროს კოპლები სამყერდზე აკერია ოქროს ბუშუტები ალვირად უდევს ოქროს რახტი.

თავისუფალი სვანი,

კიბვის გამაგრებელის საზოგადოების ბათუმის სკოლის სასარგებლოდ.

უმორჩილესად გთხოვთ, ბატონო რიდაქტორო, ადგილი მისცეთ ერთს მხლოდელ ნომრთაგანის ფურცლებზე პატივცემულის „დროებისა“ ამ ანგარიშს საყოველთაო საგულისხმეოდ და საცნობლად:

სახლის ქირა ანანიევს 50 მან., ფიცრები 18 მან. 90 კაპ., რაზები 72 კაპ. ვინტები და რგოლები 1 მან. 25 კაპ. შპალერი 5 მან. 50 კაპ. თოკები 70 კაპ. ორი დიდი კანდელი და ათი პატარა 35 მან. 45 კაპ. ბუფეტის გადმოტანა 1 მან. 40 კაპ. სქელი ქალაღი 40 კაპ. დურგლების სამუშაო ქირა 14 მან. 50 კაპ. მატროსებს ზალის მოწყობაში 7 მან. 40 კაპ. შპალერის გამკვრელებს 2 მან. მუშებს 8 მან. პარიკანერს 5 მან. ფიცრების გადმოტანაში 60 კაპ. განათება ზალისა, და ეზოსი 14 მან. 2 კაპ. სცენის, სკამების სხვა-და-სხვა ადგილებიდან გადმოტანა და გადატანა 13 მან. 10 კაპ. ზალის დერეფნის და ზალის იატაკის მიწით გასწორება 7 მან. 50 კაპ. სტამბას 9 მან. პიესების გადაწერა სამხური ასოებითა სუფლიორისათვის 5 მან. კალენჯორი 2 მან. 60 კაპ. დეკორაციების ქირა საქველ-მოქმედო საზოგადოებას, რომელიც ბათუმში არსებობს 10 მან. წვრილმანი ხარჯი 7 მან. სულ 220 მან. 4 კაპ.

წმინდა შემოსავალი 244 მან. 76 კაპ. გადაეცა კეთილშეიშობებელ ბ. მ. ნათაძეს.

სპექტაკლის გამგენი: მაკრ. ლლონტისა. ს. დ. ყიფიანი.

აპრილის 30. ქ. ბათუმი.

უკანაეთი

ინგლისი. ლონდონში გამოიკაესრედ წოდებული ლურჯა წიგნი, რომლის შინაარსი ავლანის საქმით შეეხება. Standard-ი იწერება, რომ ეს ლურჯი წიგნი დიდს ზიანს მოსცემს მმართველობის გავლენასაო. მოხსენებულს წიგნი მოყვანილს საბუთებს დამყარებია ლორდ ჩერჩილი და ცხარე სიტყვებით გაუკიცხავეს ზღაღსტონის პოლიტიკა პალატის ერთს უკანასკნელს სხდომათაგანზე. ზღაღსტონი გამოკამათებია ახალგაზდა ორატორს, დაურღვევია მისი კრატეკა და მიუთითებია მასზეა, რომ ლორდ ჩერჩილი თავის სიტყვებში ხშირად არღვევს ჩვეულებრივს წესსა და რიგს. მოზიციან ხშირად აწყვეტინებდა ზღაღსტონს სიტყვას გაძახილით „ო! ო!“ „გაიგონეთ!“ და სხვ. ზღაღსტონი კარგა ხანს იჭერდა თავს, ითმენდა, მაგრამ როდესაც მას ხელახლად გააწყვეტინეს ჩერჩილის პასუხი-არა! არა! — ს ძახილით — გამოვიდა მოთმინებლად და ცხარე საყვედური გამოსთქვა პალატაში ახლად შემოღებულის კამათობისა გამო. მოზიციური დასში ამ გარემოებამ უარესი ჩოჩქოლი ასტება. მცირე ხნის შემდეგ, რაკი წესიერება კვლავ ჩამოვარდა, ზღაღსტონმა გამოაცხადა თვისი მწუხარება იმის გამო; თუ ესეთი შეუფერებელი მოქმადება რამდენად შეურაცხყოფელია პალატის ღირსებისა რომ კერძოდ თავის თავზე იგი არას იტყვის, რადგან არავითარი მნიშვნელობა არ აქვს შეურაცხყოფას იმ პი-

რისას, რომელიც პოლიტიკურს ასარჩევზე დარჩება სულ რამდენიმე კვირა, და არა თვე, თუ არა და — რამდენიმე თვე, და არა წელი, უქვევლია. — ამ სიტყვებიდამ ბევრმა ის დასკვნა გამოიყვანა, რომ ზღაღსტონს ბეჯითად გადუწყვეტია სამინისტროს მეთაურობა დაუტევოს ახლანდელ პარლამენტის სხდობების გათავების შემდეგ, გაზაფხულის გასულს.

ბერმანი. ბისმარკის საბაჟო პოლიტიკამ ძლიერი უკმაყოფილება გამოიწვია ავსტრო-უნგრისისაგან. მაშინ როდესაც ბისმარკმა თავისუფალი გზა გახსნა ბერმანიის ხორბლისათვის ისპანიაში, ავსტრიის ქერსა და ხორბელს, ბერმანიაში შემოსატანს, დიდი ბაჟი დააღდა. ეს გარემოება დაიხვიეს ხელზე იმათ, რომელნიც იმ თავითვე ეკვის თვალთ უყურებდენ ბერმანიის კეთილს განწყობილებას ავსტრო-უნგრისისადმი, და გაიძახიან დღეს: რა იქნა ის ქება-შესხმული ჩვენი მეგობრობა ბერმანიისათანაო. ნუ თუ შეიძლება სახემწიფოთა შორის მეგობრული კავშირი განმტკიცდეს, როცა ერთი ამ სახემწიფოთაგანი მეორეს, მის მეგობარს ვითომ, ასეთს ზიანს აძლევს ეკონომიურად, უცხადებს საბაჟო ომს. ავსტრიელი სლავიანები ისედაც არას დროს არ ყოფილან მოიმედენი ბერმანიის მეგობრულის განწყობილებისა მათის მმართველობისადმი და ეხლა ხომ მაინც უარესს ნიშნს უგებენ თავის მმართველობას. თვით ავსტრიელი ნემეცებიც სულ იმის ფიქრში არიან ამ ჟამად — ვისთვის უფრო სასარგებლოა ავსტრო-ბერმანიის კავშირი. ავსტრია ამ ხანად საკმაოდ გამაგრებულს სახემწიფოს წარმოადგენს; არსათ, არც ერთის მეზობელ სახემწიფოსაგან არ მოვლის იგი თავ-დასხმას. მისთვის არავითარი კავშირი არაა საჭირო რომელსამე სახემწიფოსთან, ამით დაუნმარებლად შეუძლიან მას გაჰყვეს ისეთს პოლიტიკას, რომლითაც შეეძლება მუდამ დაურღვეველი მშვიდობიანობა ჰქონდეს მოსაზღვრე სახემწიფოებთან. სულ სხვაა ბერმანიის საქმე. მართის მხრით მას ანგარიში აქვს გასასწორებელი საფრანგეთთან აღზას-ლორენის გამო. ღა რამდენად გამოადგება თავადს ბისმარკს ასეთი საბაჟო პოლიტიკის დაქვრა ავსტრო-უნგრისთან და რუსეთთანაც ამას მომომავალი გამოაჩენს.

კანკელის კითხვის საქმე ჩვენში.

როგორც ეკლესიების შენების საქმე, ის კანკელის კეთებაც არ მიდის ისე, როგორც სასურველია. მართალია, ძველ დროში ქართველებს ჰყოლიათ საკუთარი ხუროთ-მთავრები და ხუროთ-მოძღვრებიც, მაგრამ ამ ჟამად ხერხიანი ხელოსნებიც არ მოგვეძებნებიან. სხვა ხელოსნებს თავი დაეანებოთ და მარტო კანკელის მკეთებელ ხელოსნებს მივაქციოთ

ყურადღება. ამ უკანასკნელ დროს ჩვენს საქართველოში კანკელის მკეთებელნი მეტად გამრავლდენ. მინც არ გინდა, კანკელის კეთებას ჩემულობს. ამათში, მართალია, ზოგი ისეთებიც არიან, რომელთაც, ცოტაც არის, გაეგებათ რამე ამ საქმისა, როგორც მაგ. ბ. ღავით ბიგაურავს, რომელიმაც ეს ხელობა კარგად იცის, მაგრამ რიგიანად და ენერგიით არ ეკიდება საქმეს. სოფლებში არ დაიარება, რომ საქმე მისცენ, მხოლოდ გაზეთებში აცხადებს თავის ვინაობას, მაგრამ დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ჯერ ჩვენმა ხალხმა გაზეთებით ძებნა არავინ იცის და საქმე აძლევს იმას, ვინც-კი მათ კარზე მიადგება და ან რომელიმე ნაცნობი მიუთითებს ხელს ვისზედმე. მე არ მინდა ამით ვსთქვა, რომ ჩვენ, ქართველებს, ამ ხელობის ნიჭი არა გვაქვსთო. ნიჭი-კი გვაქვს, მაგრამ ამისთანა ხელობის შესწავლა შეიძლებოდა სასწავლებლის საშუალებით, და ამისთანა სასწავლებლები კი ჯერ ჩვენში არ მოიძებნებიან. ხერხიანი კანკელის კეთებისთვის საკმაო არ არის რომ კაცმა რამდენიმე თვე ანუ ერთი წელი სტოლიართან, კალატოზთან, ან ოქროს მკვდელთან გაათიოს. სწორედ ამისთანა პირები და ასეთი მომზადებით ჰკიდებენ ხელს კანკელის კეთებას დღეს ჩვენში. მსვაქატანები მიდიან მივარდნილ სოფლებში და ჩემულობენ ოსტატობას. ჩაიგდებენ ხელში რომელიმე სოფლის მღვდელს, ანუ მთელ საზოგადოებას და ურიგდებიან კანკელის გაკეთებას. შასს დიდს არ გამოვიკიდებიან. თუ მოახერხეს როგორმე გაკეთება და ჩაბარეს, ხო კარგი, და თუ არა, გაიპარებიან. თუ ვინმე მაგრად მოჰკიდა მათ ხელი, მაშინ იძულებულნი შეიქმნებიან ხოლმე თავის ხარჯით დაიქირაონ მათზე უფრო საქმის მკოდნე პირნი და თავიანთი აღებული საქმე შეასრულებინონ. ბოლოს საქმის მიმცემთაგან იღებენ მოწმობას, რომელშიაც იწერება, რომ ამა და ამ პირმა რიგიანად შეასრულა მისდამი მიცემული საქმე. ამისთანა მოწმობები ძალიან შევლიან ესრეთს გაიძვერა პირებს და ამისთანა დოკუმენტებით სხვასაც აბრევიებენ.

კანკელის მკეთებელმა პირმა უსათუოდ უნდა იცოდენ სტოლიარის ხელობა, კალატოზის და ოქროს ვარაყის გადაკვრა და ხატების ხატვაც. ზემოდ აღნიშნულმა პირებმა არც ეს ხელობანი იციან და მასთან არც რიგიან მასალას ხმარობენ. ურიგდებიან ოქროს ვარაყის გადაკვრას და აკრავენ თითბრისას და, თუ გაჭირდა, ვერცხლის და ოქროს ფერად ლებამენ ლაქით ჩუქურთმანზედ. მარაყის გადასაკრავ მელის საჩუქლსაც ვერ აზავებენ წებოთი ისე, როგორც რიგია, რის გამო საჩუქელი სკდება და სცივთ ვარაყი. აგრეთვე ეს მოხლოენი ურიგდებიან ზეთის წამლის წასმას და უსვამენ წებოსას. ამიტომ კარგი იქნება, რომ ჯერო-

ვან ყურადღებას მივაქციებდნ ამ საქმეს ისინი, ვისიც ურთიერად მსჯელთა ოსტატებს გამოუყურებდნენ. მინც და მოეთხოვოსთ მოწმობა სახელოსნო გამგეობისაგან, რომ მათ იციან ხსენებული ხელობა. მსეთი განკარგულება საქმისთვისაც კარგი იქმნება და თვით ოსტატებისათვისაც.

ხელობის გაუმდობესობის მოსურნე. („მწეჟმისი“ № 10)

ტელეგრაფი

„ხრდილოეთის საჯარო ტელეგრაფი“ მაისის 17-ს.

პატიმრებში. მათი იმპერატორებით დიდებულესობანი მემკვიდრე და დანაწიენი შვილებითურთ გაცნობადან ზეტერგოფს გადაიძინდენ საცხოვრებლად.

დაამტკიცეს და საჯაროდ გამოაცხადეს დებულება აღმოსავლეთის ენების კურსსკად, რომელიც დაწყებულია გარეშე საქმეთა სამინისტროს აფიცრებისათვის. ეს დებულება შეესაძლებათ მომავალი სექტემბრის 1-დან.

გაზეთებმა ამობეგ, რომ გრაფი პელენის კომისიისგან შემუშავებული პროექტი გიმნაზიებში კურსს გასრულებულ ებრავლთა უნივერსიტეტში შესვლის თაობაზედ, შეტანილ იქმნას სხემწიფოთა რჩევაში და განიხილება განიკულებამდე.

მოსამონი. გუშინ დიდის ამბით გახსნეს სახელისნო გამოფენა. რერე-მონის დაიწყო ამქრების წასვლით სახელისნო გამგეობიდან სოფლის მეიდანამდე, სჯრა გამოფენის შენობას. ზანაშვიდის შემდეგ გვირგვინები დააწყეს ხელმწიფე იმპერატორის, იმპერატორი ზეტრე დიდის და ეკატერინე II-ს ბიუსტებზედ. თაგადმა დოღ-გორუკოგმა გამოაცხადა, რომ გამოუქნა გაიხსნათ და წარმოსთქვა რუსის ხელისნობისადმი თანაგრძნობათ საგსე სიტყვა. გამოფენის დათვალაურების შემდეგ, გამართეს საუზმე, რომლის დროსაც დადიეს სადღეგრძელო ხელმწიფე იმპერატორის, მათი მეუღლისა, მემკვიდრისა, შინაგან საქმეთა მინისტრისა, გარეშე საქმეთა მინისტრისა და სხვათა შერთა.

ამსტერდამი. ნიდერლანდის ბანკმა დასწია დისკონტი 3-დან 2 1/2-მდის.

ლონდონი. მცოდნე შერთა წრეებში ამობეგ, რომ მოლაზანაკებს რუსეთსა და ინგლისს შორის გათავდება უფრო ადრე, სანამ ფიქრობდენ და უთანხმოებაც ამ სახემწიფოთა შორის მოიხზოთ.

მაისის 18-ს.

პატიმრებში. მინისტრთა კომიტეტის თავს-მჯდომარე რეიტერნი თვალის აჯად-შეფოფობისაგან განთავისუფლდა და ხელ-ახლად შეუდგა სამსახურის აღსრულებას. სენატში წარდგენილი კასაციური

სახიფრებო ტაგანროვის საქმის გამოკანონებულად განიხილეთ, რა-გარეც ამბობენ.

თბილისის საადგილ-მამულა ბანკის გირაოს ფურცლები ფასობენ: 27 წლისა 89 მან. და 43 წ. 88 3/4 მან.; ქუთაისისა 18 წ. 91 მან. და 43 წ. 90 მან.

ბირჟა

შეტყობურები მასის 17.

Table with 2 columns: Item description and price/quantity. Includes items like 100 მანათის კურსი სამის, 100 მანათის კურსი სამის თვით ღონდონზე, etc.

ცნობანი

საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი ვერმიშვილი ამით აცხადებს რომ ქ. თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე მოხიარულე ავადმყოფთათვის დაარსებულს საავადმყოფოში 1866 წლის აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემოღებული არის მცხოვრებთა შეღავათისათვის ღამლამობით მორიგად ყოფნა ბბ. ექიმთა და ბებიათა.

ამივივი:

არუთინიანი, ორშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით.

კორონა, სამშაბათობით და შაბათობით.

მელიქ-შარსადაგოვი, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ბავივი:

ფილჩაკოვისა, სამშაბათობით.

ბავინოვისა, ორშაბათობით და პარასკევობით.

სტაშანოვისა, ოთხშაბათობით და შაბათობით.

ლოქოვისა, ხუთშაბათობით და კვირაობით.

გაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 მაისიდან 15 მაისამდე 1885 წ.

გამომცხვარი ჰური რუსეთის ფქვილისა — 1 გირ. 5 კ.

აქაურის ფქვილისა: ჰირკელის ხარისისა — 1 გ. 2 1/2

მეორისა — 1 გ. 2 კ.

იმავე ფქვილისა თორნეში გამოქცხვარი:

ჰირკელი ხარისისა — 1 გ. 4 1/2

მეორისა — 1 გ. 3 კ.

მესამისა — 1 გ. 2 1/2

ჯვარის-მამის ჰური:

ჰირკელის ხარის ღავაში 1 გ. 4 1/2

მეორის ხარის. ღავაში 1 გ. 3 1/2

მესამისა — 1 გ. 3 კ.

ძროხის ხორცი:

ჰირკელის ხარისისა — 1 გ. 8 კ.

მეორისა — 1 გ. 7 კ.

სუკი — 1 გ. 15 კ.

ცხვრის ხორცი — 1 გ. 9 კ.

ღორის ხორცი:

ჰირკელის ხარისისა 1 გ.

მეორისა — 1 გ.

ჩინის ზვა

თბილისიდან ბათუმიკენ მიდის 8 საათზე და 31 წამ. დილით.

თბილისიდან მარტო ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდან ბაქოსკენ 10 საათზე და 45 წამზე დილით.

(სამშაბათობით და შაბათობითსაჩქარო 10 ს. 58 წ. დამით.)

ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათზე და 25 წამ. შუადღის უკან.

ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზე და 20 წამ. შუადღის უკან.

ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილით.

ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდან და ბათუმიდან მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზე და 25 წამ. დამით.

მარტო ხაშურიდან მომავალი თბილისში შემოდის 8 საათზე დილით.

ბაქოდან მომავალი შემოდის თბილისში 2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.

(სამშაბათობით და პარასკევობით საჩქარო 7 ს. 53 წ. დილ.)

განცხადებანი

რადგან ზოგიერთა პირთ გამოაცხადეს სურვილი წინ-და-წინვე ხელის მოწერისა


სურათებთან ვეფხის-ტყაოსანზე,

ამისათვის შევამზადებინე კვიტანციები და მსურველთ შეუძლიანთ ეხლავე შემოიტანონ ფული ან სრულიად, ან ნაწილ-ნაწილ „დროების“ რედაქციაში. უასი სურათებიანი ვეფხის-ტყაოსანისა, იქნება რვა მანათი-დამ ათ მანათამდე, ხარჯის კვალობაზე. ხელის-მოწერი ფულის შემოტანისათანავე მიიღებს კვიტანციას, თუ იგი თბილისშია და შემდეგი ფულის შემოტანის დროს ან ეს კვიტანციავე უნდა წარმოადგინოს, ან შეატყობინოს მისი №-რი. თბილისის გარეშე ხელის მოწერთა ფული უნდა გამოგზავნონ რედაქციის ადრესით და კვიტანცია მოთხოვნამდე რედაქციაშივე შეინახება.

სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსანის“ გამოცემული

(25-18) გ. ქართული შვილი.

ინგლისური ჩინის კარბები



ერთის საწოლი 6 მანათიდან, და ორის საწოლი 10 მანათიდან; მათი ლეიბები, ზღვის ბაღსით გატენილი 4-დან 8 მანათამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-თ უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრატანის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საგარაქე, საშაქრე, კოვჩები, შეფადის დანები ჩანგლებით, სამართებლები, დასადგმელი ჰირის სახანი, სტაქები, სუფოკნიკი, საწყაო, რიუქები, საქაშური,

თეფშები, ბლიუდები, სასალათოები, ტაშტები, სარძევეები, ხაჭაპურები, ფაჩინის საფხეკები, შერბუჭის მარცხლები, შრობები, კლიტები, გასადებები, კრანტები, ავირები, სლისტები, ტანისამოსის დასადებლები, საბაღო მაკრატლები, ვაქები, უთოები, წისქვილები, სერსები, ქაიბები, ინგლისის თოფები და რეკლავები, ვიუები, ზარნიადები, კამსიულები, საფანგები, ნინები, ვატრ-პრუფი, სახნები, ჩუქები, წინდები, სუფრები, საღებავები, რგოლები, ემალისი ტურტკები, მურაბები, კამფეტები, კიპულები, სოუსები, ზღვის ბაღსი, დიმიკიტანები, ბომაზი და სსკ. ინგლისურს მალაზიებში არწრუნისეულს ქარვასდაში № № 95, 94, 93, 91, და 90, 89, 88, 87, 86, და 85, უდიდესი ჩის მადზია თბილისში. (100-23)

თბილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულა ბანკისგან.

მმართველობა თბილისის თავად-აზნაურთა ბანკისა, წესდების მე-15 § ძალით 17 თებერვალს 1881 წ. ამით აცხადებს, რომ იენისის 22-ს ამ 1885 წ., შუადღის 12 საათზე, თბილისში, ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზე, თ. ბრუზინისკის სახლებში № 13, გაისყიდება უძრავი ქონება ვაჭრობის განუმეორებლად (უპერეტორატო) ქვემოლ მოხსენებულ პირთა, რადგანაც თავის დროზე არ შემოუტანიათ ხვედრი ფული, რაც დაწესებულია ბანკის წესდების 13, 14, 15, 17, 18 და 19 პარაგრაფებით.

ა) ურთიერთმორის ზასუსის უკებლად გაცემული სესხები.

I. ძალაჰის მამულაგი.

მსობოვი, დალა კონიას-ქე. ერთ-სართულიანი ქვიტიკის სასლი სარდაფით და 68 ოთხ-კუთხის საყენი მაწით. ქ. თბილისში, 1 განყოფ. მე-5 ნაწილში. თავნი 3193 მან. 87 კაპ, შემოსატანი 343 მან. 14 კაპ. სულ 3537 მან., 1 კაპ.

ბაბაშვილი, ალექსანდრე ზაქარიას-ქე. ორ-სართულიანი ქვიტიკის სასლი სარდაფით და ფლიტელით და ორ-სართულიანი მაშენებული სასლი, 160 ოთხ-კუთხის საყ. მიწით; ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში, 1 ნაწილში, მოსკოვის ქუჩაზე, თავნი ვალი 6212 მან. 47 კაპ., შემოსატანი 526 მან. 76 კაპ., სულ 6739 მან. 21 კაპ.

ოქოვეისა, ეკატერინე არტემის-ასული ერთ-სართულიანი ქვიტიკის სასლი 76 ოთხ-კუთხის საყ. მიწით. ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში, მე-5 ნაწილში, № 299, თავნი ვალი 4790 მან. 84 კაპ., შემოსატანი, 546 მან. 33 კაპ. სულ 5337 მან. 17 კაპ.

ძობაძე-ძვენერელი, მარამ სოლომონის-ასული. ორ-სართულიანი ქვის სასლი 116 ოთხ-კუთხის საყ. მიწით, ქ. თბილისში, 2 ნაწილში, 1 განყოფილებაში, დავიდოვის ქუჩაზე, თავნი ვალი 1996 მან. 21 კაპ., შემოსატანი 176 მან. 75 კაპ. სულ 2172 მან. 96 კაპ.

ბედევანოვისა, ეკატერინე ივანეს ასული. ერთ-სართულიანი ქვის სასლი თავის მოწობილობით და 89 ოთხ-კუთხის საყ. მიწით, ქ. თბილისში, 11 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ავტალის ქუჩაზე, № 481, თავნი ვალი 6072 მან. 34 კაპ., შემოსატანი 353 მან. 44 კაპ., სულ 6425 მან. 78 კაპ.

შორლანოვი, გრიგოლ ივანის-ქე. ორ-სართულიანი სასლი 54 65/10 ოთხ-კუთხის საყენით მიწით. ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში, 5 ნაწილში, თავნი ვალი 3193 მან. 87 კაპ შემოსატანი 128 მან. 2 კაპ., სულ 3321 89 კაპ.

სულხანოვისა, მარამ ივანეს ასული. 18 ქვის დუქანი, მათში 14 ერთ-სართულიანი პოდვლებით და 4 ორ-სართულიანი ბაღსანებით, 276 ოთხ-კუთხის საყ. მიწით ქ. თბილისში, 2 დუქანი 1 განყოფილების მე 7 ნაწილში, თათრის შეიდანს კუთხეში, დანარჩენი 14 დუქანი მე-2 განყოფილების მე-14 ნაწილში, ხუდუტოში. — თავნი ვალი 22923 მან. 49 კაპ., შემოსატანი 2272 მან. 88 კაპ., სულ 25196 მან. 37 კაპ.

პრისთავი, ალექსანდრე ჰავეს-ქე: წისქვილი და სადგური 5610 ოთხ-კუთხის საყ. მიწა, ქ. გორში. თავნი ვალი 5689 მან. 33 კაპ., შემოსატანი 507 მან. 90 კაპ., სულ 6189 მან. 83 კაპ.